ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ნ

ქ. რუსთავი 17 იანვარი 2014 წ.

შპს „მაგთიკომი", წარმოდგენილი ქრუსთავის ოფისის ზედამხედველის ლევან ფოფხაძის სახით (შემდგომში – *გამყიდველი*), რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის მოადგილის ანდრია ზოდელავას მიერ 2014 წლის 3 იანვარს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ერთის მხრივ და თვითმმართველი ქრუსთავის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ზვიად ძიძიგურის ბიურო, წარმოდგენილი ბიუროს ხელმძღვანელის დავით მალლაკელიძის სახით (შემდგომში – *მყიდველი*), მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 1920 (ერთიათასცხრაასოცი) ლარის ფიქსური კავშირგაბმულობის მომსახურების შესყიდვა.

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.ა გადაუხადოს *გამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.ა ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ,ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:	მყიდველი:
<u>იურიდიული მისამართი</u>	<u>იურიდიული მისამართი</u>
ქ. თბილისი, აპოლიტკოვსკაიას ქ. №5	ქ. რუსთავი, შეგობრობის გამზ. №2
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>	<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ს.ს. "ვითიბი ბანკი"	ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
ა/ა GE73VT6600000000423607	ა/ა GE04LB0125134421026000
ბანკის კოდი: UGEBGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
საიდენტ. კოდი: 204876606	საიდენტ. კოდი: 216455510

ქ.რუსთავის ოფისის ზედამხედველი

ლევანი ფოფხაძე

ბიუროს ხელმძღვანელი

დავით მაღლაკელიძე